ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1814380

ნომერი: AR1297918

თარიღი : 30.03.2015

გაცემის თარიღი : 08.04.2015

გაცნობის თარიღი : 22.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საირმის გორა , ნაკვეთი 25/091 / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , ნაკვეთი 25/092 / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , (ნაკვეთი N56 და N57) / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , (ნაკვეთი N 028/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ დვალი პ/ნ 01008000823
- თბილისი ს. დიღომი დიდგორის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 30/03/2015წ. AR1297918 განაცხადით მომართა თამაზ დვალმა და მოითხოვა სამსახურის 06.02.2015წ. №1718895 ბრძანებაში, დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 06.02.2015წ. №1718895 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, საირმის გორა, ნაკვეთი 25/091 / ქალაქი თბილისი, საირმის გორა, ნაკვეთი 25/092 / ქალაქი თბილისი, საირმის გორა, (ნაკვეთი N56 და N57) / ქალაქი თბილისი, საირმის გორა, (ნაკვეთი N028/082), შპს "ტურელიტ-გრუპის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.15.025.093) შეთანხმდა საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 6 თებერვლიდან 2017 წლის 6 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ტურელიტ-გრუპი".
დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს, შპს "ტურელიტ-გრუპის" ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შეცვლის გამო, შევიდეს ცვლილება სამსახურის 06.02.2015წ. №1718895 ბრძანებაში და დამკვეთად, ნაცვლად შპს "ტურელიტ-გრუპის" ყოფილი დირექტორისა, დაფიქსირდეს აღნიშნული იურიდიული პირის ამჟმინდელი დირექტორი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის N882014291650, მომზადების თარიღი: 05/06/2014 17:54:35) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.025.093) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ტურელიტ-გრუპი“.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15036077, 19/02/2015 14:51:58) ამონაწერის თანახმად, შპს „ტურელიტ-გრუპის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი ზაქირ ბაბაევი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, სამსახურის 06.02.2015წ. №1718895 ბრძანებაში დამკვეთად ფიქსირდება შპს "ტურელიტ-გრუპი" და დამკვეთის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შეცვლა მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებაში ცვლილებას არ საჭიროებს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ.
სამშენებლო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ახალი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისას, დამკვეთის სატიტულო ინფორმაციაში, შესაძლებელია დაფიქსირდეს შესაბამისი ორგანიზაცია/პირი (სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე) და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი, აღნიშნული დროისათვის არსებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად.